



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ. N2

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„-----“ 31 2015 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

2013-2014 წლების

ფინანსური აუდიტის ანგარიში

52/00

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	2
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	2
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	3
• ხანდაზმული დებიტორული დავალიანება.....	3
• დანაკლისი.....	4
• კრედიტორული დავალიანება.....	5
• ცვეთის დარიცხვის არასწორი მეთოდის გამოყენება.....	6
• ამორტიზებული ძირითადი აქტივების აღურიცხაობა.....	6
• უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების არასრულად აღრიცხვა	7
• ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა.....	8
• ბიუჯეტში გადაუხდელი თანხები.....	8
პირობითი მოსაზრება ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესახებ.....	9
პირობითი მოსაზრება მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	9
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	10
ბიუჯეტის დაგეგმვის, დაზუსტების და შესრულების სისუსტეები	10
მიმდინარე წლის ასიგნებების გამოყენება წინა წლების დავალიანებების დასაფარად	13
შრომის ანაზღაურება.....	14
• 27 02 01-სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	15
• 27 01 სამინისტროს აპარატი.....	17
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამოვლენილი შეუსაბამოებები და ხარვეზები.....	18
• კვებით მომსახურებაზე ჩატარებული ტენდერები - გამარჯვებული შპს „G.M.M.“	18
• შავ სიაში რეგისტრირებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება	21
• შეუსრულებელი ხელშეკრულება	21
• პრეტენდენტებისათვის შექმნილი შემზღუდავი პირობები.....	22
• შპს „პერსპექტივას“ ჩართულობით არაეკონომიურად გაწეული პოტენციური ხარჯი..	23
• მორიგების აქტის საფუძველზე გადარიცხული თანხების მიზანშეწონილობა	24
• კომუნალური (წყლის ხარჯი) გადასახდელები	24

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს 2013 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ასევე მოიცავს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსს), ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს, ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშს, ორგანიზაციის ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, სხვა მოვლენების შედეგად ფლობით მიღებული მოგება/ზარალის შესახებ ანგარიშს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე: საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის #1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, 2008 წლის 16 აპრილს დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ #364 ბრძანების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ #97 ბრძანების შესაბამისად. შესაბამისად, აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისი თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

• ხანდაზმული დებიტორული დავალიანება

სააუდიტო პერიოდში სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანება 2013 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 14,177 ათას ლარს. აღნიშნული დავალიანება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირებულია 12,023 ათას ლარამდე.

დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

მოთხოვნები - ათას ლარებში	01.01.2015	01.01.2014	01.01.2013
ბიუჯეტის მიმართ მოთხოვნები	42	139	11
საქ. და მომს. მიღებაზე წინასწარი გადახდებით	762	2,060	26
აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	10,622	13,175	13,458
არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	50	50	50
ანგარიშვალდებული პირების მიმართ	17	47	96
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	21	6	3
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	7	7	34

აქციები და სხვა კაპიტალი	500	500	500
სულ	12,023	15,983	14,177
მათ შორის: სასჯელადსრულების დეპარტამენტი	11,416	13,362	13,638

მოთიანი მოთხოვნების 95% მოიცავს სასჯელადსრულების დეპარტამენტის დებიტორებს. აქედან, 5,315.7 ათასი ლარი წარმოშობილია 2002-2010 წლებში, რომელიც ირიცხება სხვადასხვა მომწოდებელზე. დეპარტამენტის მიერ დებიტორ ორგანიზაციებთან ურთიერთშეთანხმების აქტები¹ არ გაფორმებულა და არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები არსებული დავალიანების რეალობის დასადგენად. ხანდაზმული დავალიანებები არც საცნობარო მუხლშია გადატანილი, რაც შეუსაბამოა კანონმდებლობის მოთხოვნებთან², რომლის მიხედვითაც ხანდაზმული უიმედო დებიტორული დავალიანებები აისახება ბალანსის საცნობარო მუხლში. აღნიშნული ხანდაზმული მოთხოვნები ძირითადად მოიცავს 2005 წელს წარმოშობილ შპს „ნოლა“-ს დავალიანებას³ 4,299.5 ათასი ლარის ოდენობით, რომლის დოკუმენტაცია (საფუძველი) სასჯელადსრულების დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. დანარჩენი 1,016.2 ათასი ლარის დავალიანების წარმოშობა ვერ დასაბუთდა (მომსახურება, საქონელი, სამუშაო არ იქნა გაწეული, მოწოდებული, შესრულებული, თუ ხარჯვის დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი).

• დანაკლისი

2014 წლის 31 დეკემბრისათვის საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 50.3 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს სასჯელადსრულების დეპარტამენტის 2003 წლამდე წარმოშობილ დანაკლისს. საბუღალტრო ჩანაწერების შესწავლით გამოვლინდა, რომ დანაკლისი შეეხება 5 სხვადასხვა დასახელების ავტოსატრანსპორტო საშუალებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, საცნობარო მუხლში დანაკლისად აღრიცხულია 91.3 ათასი ლარის 29 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. ასევე გამოვლინდა, რომ 2010 წლის მდგომარეობით დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ბალანსის ანგარიშზე „მოთხოვნები დანაკლისებით“ ირიცხებოდა 29 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (2007-2008 წლებში წარმოშობილი), საიდანაც 24 ერთეული მოძებნილი იქნა განკომპლექტებულ მდგომარეობაში. ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისად აღიარებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ჯართის სახით, უნდა ასახულიყო ბალანსში მარაგების სახით⁴ ნაცვლად საცნობარო მუხლისა, ხოლო

¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანება.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის #1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მუხლი 14, პუნქტი 27.

³ აღნიშნულის თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სამინისტროს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც იყო დაფიქსირებული.

⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის #82 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მოქმედი წესების შესაბამისად უნდა გადაცემოდა განსაკარგავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს შემდგომი რეალიზაციისთვის⁵.

• კრედიტორული დავალიანება

სააუდიტო პერიოდში სამინისტროს ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანება 2013 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 3,243 ათას ლარს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 3,221 ათას ლარს.

კრედიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ვალდებულებები - ათას ლარებში	01.01.2015	01.01.2014	01.01.2013
მომსახ. მოწოდ. დარიც. ვალდ-ები	1,089	1,342	2,540
აქტივების მოწოდ. დარიც. ვალდ-ები	1,638	1,524	108
ბიუჯეტის წინაშე დარიც. ვალდ-ები	194	190	190
მომუშ-თვის დარიც. ხელფ. და სხვა გადასახ.	278	264	383
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	21	22	21
სულ	3,221	3,342	3,243
მათ შორის: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	2,912	3,014	3,031

მთლიანი კრედიტორული დავალიანების 91% (2,912 ათასი ლარი) მოდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტზე, საიდანაც 496 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2003 წლამდე, ხოლო 2,235.5 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2003-2010 წლებში (აქედან 1,521.9 ათასი ლარი-სამშენებლო სამუშაოებზე. მათ შორის: შპს „ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანის“ მიმართ 1,057.4 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება წარმოშობილია 2007 წელს, ხოლო შპს „აკსმშენის“ მიმართ 233 ათასი ლარის კ/დ 2008 წელს⁶). ორივე მიმწოდებლის მიმართ დავალიანება უკავშირდება გლდანის #8 საპყრობილოს მშენებლობას. პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით, ორივე კომპანიას პრობლემები ჰქონდა სამართალდამცავ ორგანოებთან. სხვა დამატებითი ინფორმაცია დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

2014 წლამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტზე წარმოქმნილი 2,732.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება არ არის აღრიცხული საცნობარო მუხლში, რაც შეუსაბამოა კანონმდებლობასთან⁷.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს #310 ბრძანების მე-2 მუხლის შესაბამისად.

⁶ აღნიშნულის თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სამინისტროს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც იყო დაფიქსირებული.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის #1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მუხლი 43, პუნქტი 10.

„თანამდებობრივი სარგოს“ მუხლით, 2013 წლის ბოლოს დეპარტამენტის მიერ 2 პირზე გადარიცხულია 971 ლარი (416.8+554.2), რომლებიც არ წარმოადგენდნენ მოქმედ თანამშრომლებს. აღნიშნული პირების განცხადებების და დაწესებულებების საჟურნალე ჩანაწერების მიხედვით გამოვლინდა, რომ ისინი დეპარტამენტის დაწესებულებებში მუშაობდნენ 1997-2002 წლებში. ფინანსთა სამინისტროს ანგარიშში, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ, აღნიშნული პირები არ ფიქსირდება. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „თანამდებობრივი სარგოს“ კატეგორია ითვალისწინებს ნომინალური თვიური ხელფასის ოდენობას, რომელიც დადგენილია მუშაკისათვის მისი დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. ამდენად, „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლიდან აღნიშნული ხარჯის გაწევა ეწინააღმდეგება სამართლებრივ ნორმას⁸.

• ცვეთის დარიცხვის არასწორი მეთოდის გამოყენება

სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვას აწარმოებდა მათ ნარჩენ ღირებულებაზე. მოქმედი წესების თანახმად კი ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წლის ბოლოს სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება მათი საწყისი (პირვანდელი) ღირებულების გამრავლებით შესაბამისი ინსტრუქციით⁹ გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე (წრფივი მეთოდით). არასწორი ცვეთის მეთოდის გამოყენების შედეგად, რაოდენობრივი ეფექტი ვერ დადგინდა, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების საწყისი ღირებულებების შესახებ.

• ამორტიზებული ძირითადი აქტივების აღურიცხაობა

სამინისტრო ბალანსის საცნობარო მუხლში არასრულად ასახავდა ამორტიზებულ ძირითად აქტივებს, რაც შეუსაბამოა კანონმდებლობასთან¹⁰. კერძოდ:

- საბუღალტრო მონაცემების მიხედვით სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება სხვადასხვა დასახელების 108 ერთეული ძირითადი აქტივი ნულოვანი ნარჩენი ღირებულებით. აღნიშნული აქტივები არ არის აღრიცხული ბალანსის საცნობარო მუხლში, ზემოაღნიშნული მიზეზის - საწყისი ღირებულების დაუდგენლობის გამო;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება სხვადასხვა დასახელების 332 ერთეული ნულოვანი ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივი და ღირებულების გარეშე 190 ერთეული სხვადასხვა დასახელების მანქანა-დანადგარი. აღნიშნული ნულოვანი ნარჩენი ღირებულების მქონე ძირითადი აქტივები სრულად არ არის აღრიცხული ბალანსის საცნობარო მუხლში - ნაცვლად 4,843.1 ათასი

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს #672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია თავი IV.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის #439 ბრძანება.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის #1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მუხლი 43, პუნქტი 9.

ლარის აქტივისა, აღრიცხულია მხოლოდ 391.4 ათასი ლარის საწყისი ღირებულების ძირითადი აქტივი;

- სამინისტროს აპარატზე რიცხული 256.6 ათასი ლარის საწყისი ღირებულების მქონე ნულოვანი ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები, ასევე არ არის ბალანსის საცნობარო მუხლში ასახული.

• **უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების არასრულად აღრიცხვა**

2013-2014 წლებში „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით“ პროგრამის (27 04) ფარგლებში საბუღალტრო სამსახურის მიერ უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების შესაბამის პერიოდში აღრიცხვა არ ხორციელდებოდა. აღნიშნული ახსნილია იმ გარემოებით, რომ სამედიცინო დეპარტამენტიდან შესაბამისი დოკუმენტების საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენა ხდებოდა დაგვიანებით. კერძოდ:

- 2014 წელს „პათიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული „C“ ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში¹¹ მიღებული აქვს 1,030.3 ათასი ლარის ღირებულების 6,493 ერთეული მედიკამენტი. ბუღალტრული მონაცემების მიხედვით აღნიშნული მედიკამენტები შემოსავალში აღებულია მხოლოდ 499.0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების კაპიტალი 2014 წლის ბოლოს წარმოდგენილია 531.3 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით (ბალანსის დანართი ფორმა #3 „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, შესაბამისად ბალანსის ფორმა #1-ში წმინდა ღირებულების ანგარიში-5100 წარმოდგენილია 531.3 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით. ასევე, ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშებიც აღნიშნული ოდენობით შეიცავს უზუსტობას).
- ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადების ეროვნული ცენტრიდან გლობალური პროექტების ფარგლებში შედარების აქტების მიხედვით 2014 წლის განმავლობაში მიღებული 153.7 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების ნაცვლად ბუღალტრული მონაცემების მიხედვით აღრიცხულია მხოლოდ 143.4 ათასი ლარის ოდენობით (10.3 ათასი ლარით ნაკლები).
- ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრიდან გლობალური პროექტების ფარგლებში ღირებულების გარეშე უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტები რაოდენობრივად არის არის აღრიცხული. შედარების აქტების მიხედვით 2014 წელს მიღებული და გახარჯულია 1,039 ერთეული სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები.

¹¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის #01-5/ნ-#12 ერთობლივი ბრძანება

• ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა

2010 წლის შემდგომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ იყო გადაწყვეტილი საკითხი მოთხოვნა-ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვის/დაფარვის შესახებ. ასევე ვერ დასტურდება ბალანსზე აღრიცხული ქონების არსებობა. ინვენტარიზაციის ჩატარებლობით არ არის დაცული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები¹².

ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ბუღალტრული ჩანაწერებით შენობა-ნაგებობების ანგარიშებზე ირიცხება შემდეგი დასახელების ობიექტები. მაგალითად: „სპეცრაზმის ტირის ოთახების მოწყობის სამუშაოები“, „უსასყიდლოდ შპს პროექტი -დან დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები“, „ეზოს მოწყობა“, „ელმომარაგება, მშენებლობა“ და სხვა. აღნიშნული ქონების მიზნობრიობა და დანიშნულება დაუსაბუთებელია. შესაბამისად, შენობა-ნაგებობების უმრავლესობა საჭიროებს იდენტიფიკაციას და მათი სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. სულ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 194,204 ათას ლარს (მათ შორის: „არასაცხოვრებელი შენობები“-155,303 ათას და „სხვა ნაგებობები“-38,901 ათას ლარს).

დეპარტამენტის შენობა-ნაგებობების (დაწესებულებების) საჯარო რეესტრში დარეგისტრირება ხორციელდება საიდუმლო წესით. დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი რეგისტრაციის დოკუმენტების მიხედვით დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. აღნიშნული მოითხოვს მონაცემების შესაბამისობაში მოყვანას).

• ბიუჯეტში გადაუხდელი თანხები

2013-2014 წლებში სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სხვადასხვა მომწოდებლებს შორის სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ბიუჯეტში გადაუხდელი თანხა ჯამურად შეადგენს 547.0 ათას ლარს. აღნიშნული თანხები აუდიტის მიმდინარეობისას არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბიუჯეტში¹³ და არც ბალანსზე იყო ასახული.

გარდა ამისა, 2014 წლის განმავლობაში შპს „G.M.M.“-ის მიერ იჯარის და პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხა შეადგენდა 240.1 ათას ლარს (იჯარა-194.2 ათასი, პირგასამტეხლო-45.9 ათასი ლარი). აღნიშნული საკითხი განხილულია საიდუმლო ნაწილში.

¹² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების რეგულირების შესახებ“ დებულების მუხლი 14, მუხლი 15 პუნქტი 2; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანება.

¹³ საქმეები განიხილება დეპარტამენტის იურიდიულ სამმართველოში შემდგომი რეაგირებისათვის.

სულ შესამოწმებელ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში გადაუხდელმა თანხამ შეადგინა 787.0 ათასი ლარი.

პირობითი მოსაზრება ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესახებ

ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენის გარდა, წარმოდგენილი 2013 და 2014 წლების ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია 2008 წლის 16 აპრილს დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ #364 ბრძანების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრება მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსური ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი 2014 წლის 31 დეკემბერს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილს დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ #97 ბრძანების შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2014 წლის საანგარიშო პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოეთხოვებოდათ ორი ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილს დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ #97 ბრძანების შესაბამისად და 2008 წლის 16 აპრილს დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ #364 ბრძანების შესაბამისად. რადგან, აუდიტის პერიოდში მომზადდა ორი ანგარიშგება სხვადასხვა საანგარიშგებო ჩარჩოს მიხედვით, ამიტომ აუდიტის სამსახური გამოთქვამს ორ აუდიტორულ მოსაზრებას.

ბიუჯეტის დაგეგმვა, დამტკიცებული ასიგნებების დაზუსტება და ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზები

2013-2014 წლების სამინისტროს ასიგნებები საბიუჯეტო განაცხადის ბოლო წარდგენით განისაზღვრა შესაბამისად 174,300 ათასი და 157,000 ათასი ლარით. ხოლო რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები 5,048 და 5,104 ერთეულით, რაც შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებით იქნა დამტკიცებული. დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმაში გათვალისწინებულია პროგრამის (27 02 03) სსიპ „უფასო იურიდიული დახმარების“ ასიგნებები. 2014 წლიდან აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელ სსიპ „უფასო იურიდიული დახმარება“-ზე სამინისტრო კონტროლს ადარ ახორციელებს და არც ცალკე მხარჯავ დაწესებულებად არის წარმოდგენილი¹⁴.

სამინისტროს 2013-2014 წლების ბიუჯეტის წლიური ანგარიშები სსიპ „უფასო იურიდიული დახმარების“ გარეშე წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)	2014				2013			
დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტ-ლი	გადახდა	3-4	დამტკიცებული	დაზუსტ-ლი	გადახდა	7-8
1	2	3	4	5	6	7	8	9
სამინისტრო - 27 00. მ/შ	154,035	152,530	150,217	2,313	171,334	171,334	157,719	13,615
<i>სასჯელაღ-ის დეპარტამენტი:</i>	<i>126,147</i>	<i>124,801</i>	<i>124,394</i>	<i>407</i>	<i>145,271</i>	<i>143,253</i>	<i>130,991</i>	<i>12,262</i>
შრომის ანაზღაურება	50,884	52,375	52,363	12	50,445	54,247	54,239	8
საქონელი და მომსახურება	47,155	46,047	45,800	246	63,190	49,892	41,822	8,070
გრანტები	6	0	0	0	0	6	6	0
სოც. უზრუნველყოფა	500	750	750	0	200	615	551	64

¹⁴ მუხლი 34, პუნქტი 2 - საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, უფასო იურიდიული დახმარების განმახორციელებელი ორგანიზაციის დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებად ჩამოყალიბების შემთხვევაში ამ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე მისი დაფინანსება განხორციელდეს ამავე კანონით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

სხვა ხარჯები	2,250	1,462	1,433	30	2,200	4,100	3,977	123
არაფ-ური აქტივების ზრდა	25,352	24,059	23,942	117	29,236	34,236	30,240	3,996
ვალდებულებების კლება	0	109	107	2	0	157	157	0

2014 წელს დაზუსტებული გეგმის შემცირება დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით განაპირობა იანვარ-სექტემბერში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი 1,505 ათასი ლარის ეკონომიის მიმართვამ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში. აქედან, „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან მიმართულია 984.0 ათასი, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან - 71.8 ათასი და „სხვა ხარჯების“ მუხლიდან - 449.2 ათასი ლარის ეკონომია ¹⁵.

ზემოაღნიშნული ეკონომიები შესაბამისი პროგრამების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

		ათასლარებში
კოდი	ორგანიზაცია/პროგრამა	ეკონომია
27 01	პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	88.9
27 02 01	თავისუფლებაად. ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (სადი)	946.7
27 02 01	პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და	
02	საწარმოო ზონის შექმნა	19.2
27 02 02	სრულყოფილი პრობაციის სისტემა	111.9
27 03	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	8.7
27 04	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით	329.6
		1,505.0

2013-2014 წლებში მთლიანი დაფინანსების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (83%) მოდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტზე, რაც 255,385 ათას ლარს შეადგენს.

2013 წელს სამინისტროს ბიუჯეტი შეუსრულებელია 13,615 ათასი ლარით. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, შესაბამისად, 9,077.1 ათასი და 4,263.3 ათასი ლარის ეკონომიის წარმოქმნით. აქედან, ეკონომიის 90.4% მოდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტზე. კერძოდ: 2013 წელს „საქონელი და მომსახურების“ მუხლით ეკონომიამ შეადგინა 8,070 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 3,996 ათასი ლარი. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბერის #1538 განკარგულების მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევა 2014 წლის იანვარ-მაისში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიიდან (31,000 ათასი ლარი) 15,820 ათასი ლარის მიმართვა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში. მათ შორის- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ეკონომიიდან 1,505 ათასი ლარის. (2014 წლის 10 სექტემბრის #858 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა)

- 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას და დამტკიცებისას პატიმართა რაოდენობა მერყეობდა 20,000-დან 23,000-მდე, „კვების“ და „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების“ ქვემუხლებით ასიგნებები გათვალისწინელი იყო სწორედ პატიმრების ამ რაოდენობაზე. ამნისტიის და შეწყალებების შედეგად 2013 წლის მანძილზე პატიმართა რაოდენობა შემცირდა 10,000-მდე, რაც ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას და დამტკიცებისას ვერ იქნებოდა გათვალისწინებული და შესაბამისად აისახა „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ზემოაღნიშნულ ქვემუხლებზე („კვების“ ქვემუხლით წარდგენილი იყო - 29, 935 ათასი ლარი, საიდანაც გაწეულია 13,345 ათასი ლარის საკასო ხარჯი; „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების“ ქვემუხლით წარდგენილი იყო 5,000 ათასი, საიდანაც გაწეულია 1,927 ათასი ლარის საკასო ხარჯი).
- „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ასიგნება დამტკიცებული იყო 29,236 ათასი ლარის ოდენობით. 2013 წლის მანძილზე „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან თანხების „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში გადატანის შედეგად, აღნიშნული მუხლი დაზუსტდა 34,236.2 ათას ლარამდე. თუმცა, მისი ბოლომდე ათვისება ვერ მოხერხდა - საკასო ხარჯი დაფიქსირდა 30,240.2 ათასი ლარის ოდენობით. დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნულის მიზეზად სახელდება ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად და ვადაგადაცილებით შესრულებისათვის ხელშეკრულებების შეწყვეტა (ძირითადად შ.პ.ს „ჯორჯიან მეტალ კომპანი“-სთან გაფორმებული სხვადასხვა ხელშეკრულებების ფარგლებში დაჯარიმებულია 286 ათასი ლარით, თუმცა აუდიტის მიმდინარეობისას აღნიშნული თანხა ბიუჯეტში არ იყო გადახდილი. საქმე გადაცემულია დეპარტამენტის იურიდიული სამსახურისთვის შემდგომი რეაგირებისთვის).

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „შენობა-ნაგებობების“ ქვემუხლით 2013 წლის 11 თვის განმავლობაში საშუალოდ ერთ თვეში გაწეული 1,201 ათასი ლარის ხარჯის პირობებში დეკემბერში გაწეულია 10,826.4 ათასი ლარის ხარჯი (ძირითადად საიდუმლო ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა დაწესებულების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე). „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში 2013 წლის დეკემბრის თვეში საკასო ხარჯის მკვეთრად ზრდა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საიდუმლო ხელშეკრულების ფარგლებში პირველ და მეორე კვარტალში გათვალისწინებული იყო სამუშაოების 8%-ის დასრულება, ხოლო 92%-ის შესრულების ვადა განისაზღვრა მესამე - მეოთხე კვარტალით და 2014 წლის პირველი კვარტალით;
- პირველ-მეორე კვარტალში შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების 15%-ის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, რომლის გადარიცხვა მოხდა მესამე-მეოთხე კვარტალში. 2014 წლის პირველ კვარტალში დასასრულებელი სამუშაოებისთვის განკუთვნილი თანხების დიდი ნაწილი გადარიცხული იქნა დეკემბრის ბოლოს საბანკო გარანტიით;

- რამდენიმე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრო განსაზღვრულ ვადაში, მათი დასრულება მოხდა 2014 წლის პირველ კვარტალში, ხოლო თანხის გადარიცხვა მოხდა-2013 წლის დეკემბერში;
- მხოლოდ ნოემბერ-დეკემბერში გაფორმდა 6,000 ათას ლარამდე ღირებულების ხელშეკრულებები, რომელიც სრულად გადარიცხა დეკემბერში.
2014 წლის 11 თვის განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „შენიშვნა-ნაგებობების“ ქვემუხლით „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით საშუალოდ ერთ თვეში გაწეული 1,282.7 ათასი ლარის ხარჯის პირობებში, დეკემბერში გაწეულია 9,831.8 ათასი ლარის ხარჯი (ძირითადად საიდუმლო ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა დაწესებულების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე). შესყიდვების გეგმის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა დაგეგმილი არ ყოფილა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის #2099 განკარგულების თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდული იქნა 3 ცალი ჰიუნდაის მიკროავტობუსი, 10 ცალი ფორდ ტრანზიტი და 11 ცალი TOYOTA HILUX 2.5 T/DISEL, რისთვისაც გადახდილი იქნა 1,260.3 ათასი ლარი. აღნიშნული შესყიდვის მიზანია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბაღრაგო სამსახურის ავტოპარკის განახლება, რომელიც ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია ამორტიზებული მანქანების რაოდენობის გაზრდის გამო.
არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2014 წლის დეკემბრის თვეში დიდი ოდენობით საკასო ხარჯის გაწევა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:
- სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საიდუმლო ხელშეკრულებების ფარგლებში პირველ და მეორე კვარტალში გათვალისწინებული იყო მხოლოდ სამუშაოების 20%. დანარჩენი 80%-ის შესრულების ვადა განისაზღვრა მე-3, მე-4 კვარტალით და 2015 წლის იანვარით;
- პირველ-მეორე კვარტალში შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების 15% ანაზღაურდება ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, რომლის გადარიცხვაც მოხდა მესამე-მეოთხე კვარტალებში;
- 2015 წლის იანვრით დასასრულებელი სამუშაოების დიდი ნაწილი გადარიცხული იქნა დეკემბრის ბოლოს საბანკო გარანტიებით. რამდენიმე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრო განსაზღვრულ ვადაში, მათი დასრულება მოხდა 2015 წლის პირველ კვარტალში, ხოლო თანხის გადარიცხვა განხორციელდა 2014 წლის დეკემბერში.

მიმდინარე წლის ასიგნებების გამოყენება წინა წლების დავალიანებების დასაფარად

2013-2014 წლებში „ვალდებულების კლების“ მუხლით ასიგნებები დამტკიცებული არ ყოფილა. 2014 წელს ვალდებულებების კლების მუხლით 426.7 ათასი ლარით დაზუსტება გამოწვეულია წინა წლებში აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით დაგვიანებით

(მიმდინარე წელს) შემოსული ფინანსური დოკუმენტაციით სამინისტროს აპარატის, „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით“ პროგრამის ფარგლებში და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების (შესაბამისად 3.9 ათასი, 314.3 ათასი და 108.5 ათასი ლარი) დაფარვით. ამ მიზნით მუხლებს შორის გადანაწილება ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში განხორციელებულია „საქონელი და მომსახურების“, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „სხვა ხარჯების“ მუხლების შემცირების ხარჯზე შესაბამისად 414.6 ათასი, 10.8 ათასი და 1.3 ათასი ლარის ოდენობით. ანუ, განხორციელებულია მიმდინარე წლის ასიგნებების გამოყენება წინა წლების დავალიანებების დასაფარად. აღნიშნული ტრანზაქციები განხორციელებულია 2013 წელსაც 367.1 ათასი ლარის ოდენობით. 2014 წლის ბოლოს დაგროვილი კრედიტორული დავალიანება შეადგენს 341.2 ათას ლარს. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა ახალი დავალიანების დაგროვებას¹⁶, რაც შეუსაბამოა „საქართველოს 2013-2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომლის მიხედვითაც წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ შესაძლებელია გამოიყენოს მიმდინარე წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება.

აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროს უფლება მიეცა „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში 2014 წელს შესრულებული სამუშაოების დაფინანსება განხორციელოს 2015 წლის სამინისტროს დამტკიცებული ასიგნებებიდან¹⁷.

შრომის ანაზღაურება


2013-2014 წლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული საკასო ხარჯის ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში:

2014 წ


2013 წ

¹⁶ „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 20 - წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ შესაძლებელია გამოიყენოს 2014 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება.

¹⁷ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 32.



■ შრომის ანაზღაურება
■ საქ და მომსახ
■ სოც. უზრ
■ სხვა ხარჯები
■ არაფ. აქტ
■ ვალდ. კლება



■ შრომის ანაზღაურება
■ საქ და მომსახ
■ გრანტი
■ სოც. უზრ
■ სხვა ხარჯები
■ არაფ. აქტ
■ ვალდ. კლება

მთლიან დაფინანსებაში, ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ფიქსირდება „შრომის ანაზღაურების“ მუხლზე. 2014 წელს-67,291 ათასი და 2013 წელს 66,877 ათასი ლარის ხარჯი:

ათას ლარებში	2014	%	2013	%
სამინისტრო-27 00	150,217.04		157,718.98	
მ. შ: შრომის ანაზღაურება	67,291.62	44.80	66,877.26	42.40
სამინისტროს აპარატი-27 01	4,492.54		8,471.19	
მ. შ: შრომის ანაზღაურება	2,923.25	65.07	2,763.65	32.62
სასჯელსრულების დეპარტამენტი-27 02 01	124,394.12		130,991.16	
მ.შ: შრომის ანაზღაურება	52,362.68	42.09	54,238.86	41.41
არასპ.სასჯ. აღსრ. და პრობ.ერ. სააგენტო-27 02 02	7,040.20		5,312.39	
მ. შ: შრომის ანაზღაურება	4,918.44	69.86	3,194.18	60.13
სასწავლო ცენტრი- 27 03	989.39		1,976.34	
მ. შ: შრომის ანაზღაურება	235.06	23.76	233.52	11.82
სამედიცინო პროგრამა-27 04	13,300.80		10,967.90	
მ. შ: შრომის ანაზღაურება	6,852.19	51.52	6,447.05	58.78

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ორგანიზაციების მიხედვით შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული გადასახდელების მაღალი ხვედრითი წილი სამინისტროს მთლიან შრომის ანაზღაურებასთან მიმართებაში მოდის სასჯელსრულების დეპარტამენტზე-78% (52,362.7 ათასი ლარი).

• 27 02 01-სასჯელსრულების დეპარტამენტი

2014 წელს შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯი (52,362.7 ათასი ლარი), 2013 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 1,876.2 ათასი ლარით. მათ შორის თანამდებობრივი სარგო-1,637.8 ათასი, პრემია - 1,722.5 ათასი ლარით, ხოლო დანამატი - 2014 წლის აგვისტოდან დარიცხულია სულ 1,492.1 ათასი ლარის ოდენობით (2013 წელს დანამატი არ გაცემულა). მიუხედავად იმისა, რომ 2013-2014 წლებში შრომის ანაზღაურების მუხლით დამტკიცებული გეგმა თითქმის ერთმანეთის ტოლია, 2014 წელს ფაქტობრივი ხარჯის შემცირება

2013 წელთან შედარებით, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2013 წელს დამტკიცებული გეგმის დაზუსტება განხორციელდა 3,802.2 ათასი ლარით, ხოლო 2014 წელს - 1,491.0 ათასი ლარით.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ზოგიერთი მაჩვენებელი 2013-2014 წლებში ასე გამოიყურება:

შინაარსი	2014	2013
მაქსიმალური თ/სარგო	3,350.00	3,350.00
მინიმალური თ/სარგო	700.00	560.00
ერთჯერადად გაცემული პრემიის/დანამატის მაქს. ოდენობა	5,000.00	20,000.00
ერთჯერადად გაცემული პრემიის/ დანამატის მინიმ. ოდენობა	100.00	100.00
პრემიის ხელფასზე მაქსიმალური გადამეტება (ჯერ)	2.4-ჯერ	20-ჯერ
ერთ მომუშ-ზე მაქს. განაცემი (შრ. ანაზღ) ოდენობა ჯამურად	82,885.15	71,084.64

2014 წლის განმავლობაში ერთჯერადად გაცემული მაქსიმალური პრემიის ოდენობა შეადგენდა 5,000 ლარს 18 თანამშრომელზე, ხოლო 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის #449 დადგენილების ამოქმედებიდან საბიუჯეტო სახსრები გაცემულია (აგვისტოდან) არა მარტო „პრემიის“, არამედ „დანამატის“ ქვემუხლიდანაც. შედეგად, 2014 წლის აგვისტომდე საშუალო თვიური პრემია შეადგენდა 382 ათას ლარს, ხოლო აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით საშუალო თვიური პრემიისა და დანამატის ჯამური ოდენობა - 1,204 ათას ლარს (3-ჯერ მეტს). 22 თანამშრომელზე ერთჯერადად გაცემული მაქსიმალური დანამატის ოდენობა ასევე 5,000 ლარის ტოლია. წლის განმავლობაში პრემიისა და დანამატის ჯამური ოდენობის ხელფასთან თანაფარდობა მერყეობს 0.1-დან 2.4-მდე.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ზემოხსენებული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დაცვის მიზნით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა 2014 წლის აგვისტოდან შემოიღო დანამატის გაცემის პრაქტიკა, რის შედეგადაც აგვისტოდან პრემიისა და დანამატის ჯამური საშუალო თვიური მაჩვენებელი 3-ჯერ აღემატება აგვისტომდე მხოლოდ პრემიის გაცემის პირობებში საშუალო თვიურ მაჩვენებელს. ამდენად, დაუსაბუთებელია აღნიშნული დანამატების გაცემის მიზნობრიობა, რაც ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს.

2013 წლის განმავლობაში ერთჯერადად გაცემული მაქსიმალური პრემიის ოდენობა შეადგენდა 20,000 ლარს, რომელიც გაცემულია დეკემბრის თვეში. ადგილი ჰქონდა ერთი და იგივე თანამშრომელზე დეკემბრის თვეში 2 და 4-ჯერ პრემიის გაცემის ფაქტებს, რის შედეგადაც თვეში (დეკემბერში) გაცემული პრემიის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა 27,160 ლარს¹⁸, ხოლო იმ თანამშრომელთაგან, რომელთაც მხოლოდ დეკემბერში აქვთ მიღებული თანამდებობრივი სარგო, 23 თანამშრომელს¹⁹ მიღებული აქვს 10,000 ლარიდან 27,160 ლარამდე პრემია. პრემიის

¹⁸ დარიცხული 33,950 ლარი.

¹⁹ დანიშნული არიან ნოემბერ-დეკემბერში.

გაცემის ბრძანებებში საფუძვლად მითითებულია მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის #176 ბრძანებით დამტკიცებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ და „ო“ ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტის თავმჯდომარე ახორციელებს მოსამსახურეთა დანიშვნას, პრემირებას და სხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პირების დანიშვნა განხორციელდა 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში, წლის ბოლოს მათზე პრემიის სახით ზემოაღნიშნული თანხების გაცემა დაუსაბუთებელი და მიზანშეუწონელია, ვინაიდან პრემია გაიცემა თანამშრომელზე დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის. თუმცა, დეპარტამენტის მხრიდან რაიმე სახის დასაბუთება, თუ რა დამსახურებისთვის გაიცა მათზე პრემია - ვერ იქნა წარმოდგენილი.

პრემიისა და დანამატის ხელფასთან თანაფარდობა თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში	3,992	3,977	3,865	4,300	4,028	3,923	3,909	4,640	4,056	4,086	4,669	6,919	52,363
2014წ-სადი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	2014წ
თ/სარგო	3,385	3,367	3,390	3,393	3,410	3,414	3,399	3,442	3,466	3,450	3,431	3,432	40,980
წ/სარგო	65	66	67	67	67	67	67	67	68	68	67	68	803
პრემია	387	388	251	682	394	284	286	700	68	102	704	2,953	7,200
დანამატი	0	0	0	0	0	0	0	271	295	308	310	308	1,492
კომპენსაცია	155	155	157	157	158	158	157	159	159	158	157	157	1,888
პრემია+დანამატი	387	388	251	682	394	284	286	971	363	410	1,014	3,261	8,692
%	11	12	7	20	12	8	8	28	10	12	30	95	21

• **27 01 სამინისტროს აპარატი**

პრემიისა და დანამატის ხელფასთან თანაფარდობა თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში	220	231	223	252	222	222	232	239	211	220	268	383	2,923
2014წ-აპარატი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	2014წ
ხელფასი	156	167	165	166	166	163	160	154	159	162	163	163	1,944
პრემია	60	62	55	83	53	9	36	81	0	0	44	162	646
დანამატი	5	1	3	3	3	49	36	4	51	58	61	59	333
პრემია+დანამატი	64	64	58	86	56	58	72	85	51	58	104	220	979
%	41	38	35	52	34	36	45	55	32	36	64	135	50

სამინისტროს აპარატში ერთ მომუშავეზე წლის განმავლობაში მაქსიმალური ფულადი განაცემი შეადგენს 72,708 ლარს. 2014 წლის განმავლობაში ერთჯერადად გაცემული მაქსიმალური პრემიის ოდენობა შეადგენდა 6,600 ლარს. მინისტრის მოადგილეებზე გაცემული პრემია შეადგენს 2,176-6,600 ლარამდე, ხოლო დანამატი 1,513-4,352 ლარამდე (დანამატი გაცემულია ივნის-დეკემბერში).

2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პრემია არ გაცემულა. ივლისის თვეში ორ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობით პრემიის²⁰ და იმავე პირებზე დანამატის დარიცხვის ფაქტს, რაც ჯამურად შეადგენდა 10,615 და 10,380 ლარს. აღნიშნულ შემთხვევაში არ არის დაცული სამართლებრივი აქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს²¹.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამოვლენილი შეუსაბამოებები და ხარვეზები.

• კვებით მომსახურებაზე ჩატარებული ტენდერები - გამარჯვებული შპს „G.M.M.“

სამინისტროს სისტემაში 2013-2014 წლებში კვების ხარჯების ქვემუხლით სულ გაწეულია 28,392.2 ათასი ლარი. აქედან 28,366.7 ათასი ლარი მოდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტზე. მათ შორის: 2013 წელს - 13,345.3 ათასი და 2014 წელს - 15,021.5 ათასი ლარი.

2013 წლის 11 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულ /მსჯავრდებულების, ასევე გარე დაცვის სამმართველოს სავალდებულო სამსახურის და სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის მოსამსახურეთა კვებით მომსახურებას უზრუნველყოფდა შპს „G.M.M.“.

შესამოწმებელ პერიოდში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზემოაღნიშნული კონტიგენტის კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით სულ ჩატარებულია 14 ტენდერი (2013 წელს-9 და 2014 წელს-5)²². ყველა ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენილია შპს „G.M.M.“.

- კვებით მომსახურებაზე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება გამოცდილებას კვების უზრუნველყოფის სფეროში.

2013-2014 წლებში კვებით მომსახურებაზე ჩატარებული ყველა ტენდერის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტებისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ითვალისწინებდა პრეტენდენტი კომპანიის დამფუძნებლის ან მენეჯმენტის მინიმუმ 2 წლიან ინფორმაციას კვების მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ.

²⁰ ორივე შემთხვევაში პრემია დარიცხულია ივლისის თვეში-თითოეულზე 8,250 ლარი.

²¹ 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის #449 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

²² 2013 წელს გამოცხადებულია სულ 10 ტენდერი. აქედან, ერთი ტენდერი შეწყვეტილ იქნა დეპარტამენტის დაწესებულებების სტრუქტურული ცვლილებიდან გამომდინარე.

აღნიშნული ინფორმაცია მოიცავდა მმართველის რგოლის/კვების ტექნოლოგის/მთავარი მზარეულის რეზიუმებს და დამატებით ინფორმაციას სამუშაო გამოცდილების შესახებ აღნიშნულ სფეროში. სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ცალკეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ განსაზღვრავს პრეტენდენტი კომპანიის შესაძლებლობას და მთლიანი ფირმის გამოცდილებას კვების უზრუნველყოფის დარგში.

შპს „G.M.M.“-ის²³ მიერ, წარმოდგენილია ფიზიკური პირის „CV“, სადაც მითითებულია რომ 2009-2012 წლებში იგი მუშაობდა სხვადასხვა კომპანიაში (შპს „ექს-მეტში“, შპს „მეგაფუდში“, შპს „ქართული კვების კომპანიაში“) საწყობის უფროსად, ხოლო 2012 წლის 1 აპრილიდან შპს „ქართული კვების კომპანიაში“ აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილების უფროსად. სატენდერო კომისიის 2013 წლის 6 მარტის სხდომის ოქმით დაფიქსირდა, რომ სხვადასხვა ხარვეზებთან ერთად დასაზუსტებელი იყო წარმოდგენილი გამოცდილების აღნიშნული კადრის თანამდებობა კომპანიაში. დაზუსტებული CV-ის მიხედვით იგი 2013 წლიდან კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეა. წარმოდგენილია ასევე 2 პირის²⁴ სამუშაო გამოცდილება, რომლებიც შპს „ქართული კვების კომპანიაში“ (აღრიცხვის ოპერატორად), თავდაცვის სამინისტროსა და სს „აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრში“ აღრიცხვის ოპერატორებად და ბუღალტერ-აღმრიცხველად მუშაობდნენ. წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება კვების ტექნოლოგიაში გამოცდილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მაგრამ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რადგან დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები კვების მომსახურე კომპანიის შერჩევასთან დაკავშირებით იყო შეუსაბამო და არასათანადო.

2013 წლის 5 თებერვალს გამოცხადებულ ყველა ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში კონტიგენტის რაოდენობასთან დაკავშირებით ბოლო შესწორებები შესულია წინადადების მიღების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, რაც ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს სირთულეს უქმნის შესაბამისი სატენდერო წინადადების მომზადებისთვის. აღნიშნული უკავშირდება მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მოსალოდნელი რაოდენობის განსაზღვრის განსაკუთრებულ სპეციფიკას, რაც სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკური აუცილებლობით იყო გამოწვეული (ამნისტია, პატიმართა მნიშვნელოვანი გადინება, რაც ტენდერის გამოცხადების დროს არ იყო გათვალისწინებული).

➤ არაეკონომიურად გაწეული 211.1 ათასი ლარის პოტენციური ხარჯი.

2013 წელს ჩატარებული ტენდერებიდან SPA130003072 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა - შპს „G.M.M.“-მა, შპს „გეო ინვესტმა“ და შპს

²³ იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირებულია 2012 წლის 5 აპრილს. (100%-მანუჩარ გუნთაიშვილი. 2013 წლის 16 ივლისიდან 70%-ვახტანგ გაგნიძე და 30%-მანუჩარ გუნთაიშვილი).

²⁴ კერძოდ, ნათია ჩომახიძის და თორნიკე ხეჩიკაშვილის CV. საიდანაც ირკვევა, რომ ნათია ჩომახიძე 2013 წლის მარტიდან მუშაობდა როგორც შპს „ქართული კვების კომპანიაში“, ასევე შპს „G.M.M.“-ში აღრიცხვის ოპერატორად.

„თელა 2012“-მა. შპს „თელა 2012“-მა წარმოადგინა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით დაბალი ფასის მქონე სატენდერო წინადადება. სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის მას განესაზღვრა არასრული ერთი დღე, მაშინ როდესაც, მოქმედი წესების თანახმად²⁵ შესაძლებელი იყო 3 სამუშაო დღის ვადის მიცემა.

2013 წელს ჩატარებულ SPA130003076 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა - შპს „G.M.M.“-მა, შპს გეო ინვესტმა, შპს „თელა 2012“-მა და შპს KL Group-მა. აქაც, შპს „თელა 2012“-მა წარმოადგინა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით დაბალი ფასის მქონე სატენდერო წინადადება 1,408.9 ათას ლარზე (სავარაუდო ღირებულება 1,912.2 ათასი ლარი). ხოლო მომდევნო დაბალი ფასის სატენდერო წინადადება შპს „G.M.M.“-მა წარმოადგინა - 1,620.0 ათასი ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნული ტენდერის მსგავსად, სატენდერო დოკუმენტაციის დასაზუსტებლად შპს „თელა 2012“-ს განესაზღვრა მინიმალური ვადა. დაზუსტებული ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში წარმოუდგენლობის გამო შპს „თელა 2012“ დისკვალიფიცირებული იქნა²⁶ და გამარჯვებულად გამოცხადდა მომდევნო დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე შპს „G.M.M.“. შედეგად, ხელშეკრულება გაფორმდა 211.1 ათასი ლარით²⁷ მეტი ღირებულების მომსახურებაზე.

2014 წელს ჩატარებული 5 ტენდერიდან (პრეტენდენტებისათვის განსაზღვრული მსგავსი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით), ხუთივეში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „G.M.M.“-მა და გამარჯვებულად გამოცხადდა. აქედან, 4 ტენდერი ეხება სხვადასხვა დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის, ასევე გარე დაცვის სამმართველოს სავალდებულო სამსახურის და სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის მოსამსახურეთა კვებით მომსახურების მიწოდებას 2014 წლის 17 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. 2014 წელს გამოცხადებული მე-5 ტენდერი (SPA140027554) ეხება 2015 წლის კვებით მომსახურებას. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა 2014 წლის 27 ნოემბერს, 2015 წლის კვებითი მომსახურების შესყიდვაზე გამოაცხადა ერთობლივი ელექტრონული ტენდერი (SPA140027554). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 18,093.8 ათასი ლარით 11,753 კაცზე.

- მოსამსახურეთა კვებითი მომსახურება არ არის დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადით.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოთა მოსამსახურეებს სასურსათო ულუფის კომპენსაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით. სწრაფი რეაგირების მოსამსახურეებს კი ფულადი კომპენსაციის ნაცვლად კვებავენ დღეში სამჯერადად. 2013-2014 წლებში აღნიშნულ მოსამსახურეების კვებით მომსახურებაზე გაწეულია 459.7 ათასი ლარი (2013

²⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მუხლი 12, პუნქტი 6.

²⁶ 2013 წლის 7 მარტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #3.

²⁷ 1,620-1,408.9=211.1

წელს-236.9 ათასი და 2014 წელს-222.8 ათასი ლარი), რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადით.

- **შავ სიაში რეგისტრირებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრეტენდენტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან არაკეთილსინდისიერ პრეტენდენტთა რეესტრში (ე.წ. შავ სიაში), შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები²⁸.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, 2013 წლის 26 მარტიდან შავ სიაში რეგისტრირებულ შპს „დემეტრე-96“-თან ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების შედეგად 23 მაისს ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი. კერძოდ, 2013 წლის 22 იანვარს დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²⁹ 3,500 წყვილი მაღალყელიანი ფეხსაცმლის (ბათინკი) შესყიდვაზე მონაწილეობა მიიღო ექვსმა პრეტენდენტმა³⁰. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 245 ათასი ლარით. სატენდერო დოკუმენტაციაში შესწორება (ტექნიკურ აღწერილობაში)³¹ შესულია წინადადების მიღების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, რაც გარკვეულ სირთულეს უქმნის ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს სატენდერო წინადადების მომზადებისთვის. დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე ხუთივე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდა ყველაზე მაღალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე შპს „დემეტრე-96“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2013 წლის 23 მაისს 245 ათასი ლარზე (ზუსტად სავარაუდო ღირებულების ოდენობაზე).

სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა დოკუმენტაციის შეფასებების განხილვა დაიწყო 2013 წლის 13 თებერვლიდან, ხოლო ხუთი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდგომ 24 აპრილს კომისიამ განიხილა და იმსჯელა შპს „დემეტრე-96“-ის წინადადებების შეფასებებზე, მაშინ როცა 26 მარტიდან უკვე შავ სიაში იყო დარეგისტრირებული (ისევ დეპარტამენტის მიერ)³². კომისიას უნდა ემსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შეეწყვიტა ტენდერი.

- **შეუსრულებელი ხელშეკრულება**

ელექტრონულ ტენდერში³³ გამარჯვებულ შპს „მემი“-სა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის 2014 წლის 5 ივნისს გაფორმდა #192 ხელშეკრულება პატიმრებისათვის საზაფხულო და საზამთრო ფორმების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა

²⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

²⁹ SPA130001790

³⁰ შპს „დემეტრე-96“, შპს ნიტექსი, შპს ევროპოლდინგი, შპს ბი & ეიჩ სსბიაი, აირონ თრეიდი, შპს MEDMARINE.

³¹ წყვილი ბათინკის წონა, საქუსლარის ნაწილში ტყავი ქუსლზე გამოყვანილი.

³² დეპარტამენტის მიერ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის 2013 წლის 11 თებერვალს გაგზავნილი წერილი.

³³ SPA140007425

155.0 ათასი ლარი, რაც სავარაუდო ღირებულებაზე (205 ათასი ლარი) 24.4%-ით ნაკლებია. აღნიშნული მიუთითებს ბაზრის არასრულფასოვნად მოკვლევაზე. ხელშეკრულებით განისაზღვრა 3,000 ცალი ზაფხულის და 2,000 ცალი ზამთრის ტანსაცმლის მიწოდება. 2014 წლის ივლისში მიწოდებულია მხოლოდ 56.6 ათასი ლარის პატიმრის 1,885 ცალი ზაფხულის ტანსაცმელი. აღნიშნული ტანსაცმელი აუდიტის მიმდინარეობისას ირიცხებოდა საწყობში ნაშთად, რადგან მათი გამოყენების საჭიროება არ დამდგარა³⁴.

აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა მიმწოდებლის მხრიდან 2014 წლის 4 აგვისტოს წერილის საფუძველზე. დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის პირგასამტეხლო დარიცხული არ ყოფილა (და არც ბუღალტრულად ასახულა მოთხოვნებში). სამინისტროს არც სხვა მომწოდებლის მოძიება განუხორციელებია, რადგან წინა ხელშეკრულებით განსაზღვრული ტანსაცმლის შეძენის საჭიროება არ დამდგარა. დასაჯარიმებელი თანხა შეადგენს 3,099.60 ლარს. აღნიშნულთან დაკავშირებით შემოწმების მიმდინარეობისას - 2015 წლის 4 მარტს შპს „მემის“ წარედგინა შესაბამისი წერილი აღნიშნული თანხის გადახდასთან დაკავშირებით.

• პრეტენდენტებისათვის შექმნილი შემზღუდავი პირობები

2014 წლის განმავლობაში ხშირ შემთხვევებში ტენდერში მონაწილეთათვის მოთხოვნილია საქონლის/მომსახურების მიწოდების 1 ან 2-წლიანი გამოცდილება და არ არის გათვალისწინებული მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების ღირებულება, რაც იწვევს ისეთი პრეტენდენტების დისკვალიფიკაციას, რომელთაც გააჩნიათ მიწოდების მოცულობითი მაღალი, მაგრამ პერიოდით დაბალი გამოცდილება, რაც პრეტენდენტებისთვის შემზღუდავ პირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ამგვარი დისკვალიფიკაციის შემთხვევებს:

		ათას ლარებში				
ტენდერის #	დისკვალიფიკაციის მიზეზი	გამარჯ. პრეტ. გამოც.	მიწოდ. გამოც.	შეთავაზ-ლი ფასი	გამარჯ. პრეტენ. ფასი	სხვაობა
SPA140005937	შპს "მოდის სახელობო ლიცეუმი"	5,799.39	1,133	102.4	142	39.6
SPA140009379	პოლიკარტონი	45.00	219	37.78	43.79	6.01
SPA140002341	SANDIKO	1,722.00	471	497.98	532	34.02
SPA140002348	ი.მ ვიოლეტა მინაძე	45.20	500	33.49	37.26	3.77
SPA140002345	ი.მ ვიოლეტა მინაძე	45.20	500	23.49	27.04	3.55

³⁴ არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს, მიწოდების გამოცდილების მოთხოვნისას პერიოდის ნაცვლად ღირებულებითი ფაქტორის გათვალისწინების შემთხვევაში არსებობდა შესყიდვის განხორციელების შედარებით დაბალი ღირებულების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობდა ხარჯვის რაციონალურობის ამაღლებას.

• შპს „პერსპექტივას“ ჩართულობით არაეკონომიურად გაწეული პოტენციური ხარჯი

შპს „პერსპექტივა“ წარმოადგენს სასჯელაღსრულების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 29 დეკემბერს დაფუძნებულ საზოგადოებას (100%-იანი წილის მფლობელია სააგენტო). საზოგადოების წესდების მიხედვით მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პაემნების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. ასევე, მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე სამინისტროს სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობი სხვა საქმიანობის უზრუნველყოფაც.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის #66 განკარგულების თანახმად, 2014 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დეპარტამენტს მიეცა უფლება განეხორციელებინა პატიმრობის/ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დასუფთავება/დალაგების, ბრალდებულების/ მსჯავრდებულებისათვის განკუთვნილი თეთრეულის რეცხვის, ასევე მათთვის შესაბამისი პროდუქტების მიტანის/დარიგების მომსახურების შესყიდვა. აღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად დეპარტამენტსა და შპს „პერსპექტივას“ შორის 2014 წლის იანვარში, 1,800 ათას ლარზე გაფორმდა #27 ხელშეკრულება. ხსენებული განკარგულების შესაბამისად, ხელშეკრულება ითვალისწინებდა 619 მსჯავრდებულის მომსახურებას, რისთვისაც 2014 წლის განმავლობაში გაწეულ იქნა 1,289.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აქედან, 218.2 ათასი ლარი წარმოადგენს შპს „პერსპექტივას“ მოგებას და დღგ-ს, რაც უშუალოდ დეპარტამენტის განხორციელების შემთხვევაში დაიზოგებოდა.

შპს „პერსპექტივა“ აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებდა 2013 წლის ოქტომბრიდან³⁶. ამ მიზნით, 2013 წლის ბოლომდე ხელშეკრულების³⁷ ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 293.6 ათასი ლარი, საიდანაც 49.7 ათასი ლარი (მოგებისა და დღგ-ს თანხა) წარმოადგენს არაეკონომიურ ხარჯს.

³⁵ #SPA140005937 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, შემდგომ ჩატარებულ #SPA140010531 ტენდერში გაიმარჯვა შპს „ელსელემამ“, ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 142,0 ათასი ლარი. SPA140010531 და SPA140009472),

³⁶ საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი ოქტომბრის #1412 განკარგულების საფუძველზე.

³⁷ ხელშეკრულება #267; 02.10.2013 წ.

სამინისტროს წერილობითი განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იქნა რიგი გარემოებებით, კერძოდ:

სამინისტროს 2014 წლის 22 დეკემბრის #157 ბრძანების საფუძველზე³⁸, 2015 წლიდან ზემოაღნიშნული მომსახურებებისთვის მსჯავრდებულთა ანაზღაურებას ახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

2013 წლის განმავლობაში შპს „პერსპექტივა“ ქვეკონტრაქტორების მეშვეობით ახორციელებდა სხვადასხვა სამუშაოებს. შუალედური რგოლის ჩართვის საჭიროება დაუსაბუთებელია, მიმწოდებლებთან პირდაპირი წესით ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო სახსრების 27.37 ათასი ლარის დაზოგვა. საკითხი განხილულია საიდუმლო ნაწილში.

- **მორიგების აქტის საფუძველზე გადარიცხული თანხების მიზანშეწონილობა**


2013 წელს მორიგების აქტის საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლიდან განხორციელდა 2,135.8 ათასი ლარის გადარიცხვა. აღნიშნული უკავშირდება 2012 წელს განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებს. საკითხი განხილულია საიდუმლო ნაწილში.

- **კომუნალური (წყლის ხარჯი) გადასახდელები**

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ წყლის შესყიდვაზე გაწეული ხარჯისა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საშუალო წლიური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

დასახელება	2010	2011	2012	2013	2014
ბრალდ/მსჯავრდებულთა საშ. წლ. მაჩ-ლი	22,726	24,102	22,683	9,918	10,115
წყლის ხარჯი - ათას ლარებში	8,471.9	11,436.3	10,627.1	10,582.5	10,754.8

³⁸ „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ („პატიმრობის შესახებ“ კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და 112¹ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად).



2010-2014 წლებში წყლის ხარჯვის ტენდენციის შესწავლით გამოვლინდა, რომ წყლის გადასახადი იზრდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიუხედავად. 2010 წლის განმავლობაში საშუალოდ 22,726 კონტიგენტზე გაწეულია 8,472 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2014 წელს კონტიგენტი განახევრდა 10,115 - მდე, ხოლო ხარჯი გაიზარდა 10,754.8 ათას ლარამდე.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიხედვით, ერთ პატიმარზე საშუალოდ დღეში წყლის მოცულობითი შემდეგი ხარჯი ფიქსირდება: მაგალითად:

- #2 დაწესებულებაში (ქუთაისი) 0.91მ³,
- #5 დაწესებულებაში (გარდაბანი) 2.0მ³,
- #6 დაწესებულებაში (გარდაბანი) 1.31 მ³,
- #9 დაწესებულებაში (თბილისი) 3.12 მ³,
- #11 დაწესებულებაში (თბილისი) 2.35 მ³,
- #12 დაწესებულებაში (თბილისი) 0.96 მ³,
- #17 დაწესებულებაში (რუსთავი) 1.09 მ³.
- დანარჩენ დაწესებულებებში კი 0.3მ³- დან 0.5მ³-ის ფარგლებში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებების მიერ მოხმარებული სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 24 ნოემბრის #27 დადგენილების შესაბამისად არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის გათვალისწინებული ზღვრული ტარიფით, რაც მომწოდებელი კომპანიების მიხედვით 3,5 ლარიდან – 4,5 ლარს შეადგენს. დაწესებულებათა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კი პატიმრები ეწევიან ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებას და წყალს მოიხმარენ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

საკითხის დასარეგულირებლად სამინისტრომ 2013 წლის 18 ივნისის #65538/01 წერილით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის წყლის მიწოდებისა და წყალარინების მოქმედ ზღვრული ტარიფების გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის დადგენილი ოდენობით გადახედვის თაობაზე.

კომისია 2013 წლის 4 ივლისის #1/03-3/24-1450 საპასუხო წერილის მიხედვით მიიჩნევს, რომ დეპარტამენტის დაწესებულებების მიერ შესყიდულ სასმელ წყალზე ინდივიდუალური ტარიფის დადგენის საჭიროება არ არსებობს.

დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების მიერ შესაბამისი გათვლებით, მოხმარებული სასმელი წყლის ღირებულების გადახდის შემოთავაზებული მეთოდი სასჯელაღსრულების სისტემას დაუზოგავდა 10 მილიონი ლარის საბიუჯეტო ასიგნებას წლიურად მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად³⁹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იგივე ტარიფების პირობებში, პატიმართა რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას წყლის ხარჯის მოცულობაზე გავლენა არ მოუხდენია, რაც წყლის არადანიშნულებისამებრ გამოყენების რისკს შეიცავს.

³⁹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც არის დაფიქსირებული.